ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№96

(სხვა კომისიებთან)

ქ. თბილისი; 2 დეკემბერი, 2021 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე - **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე - **მარიამ კვერნაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი ფაზა III"-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.10.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა, სამხედრო დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.057.03.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული 31.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.136.057.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. "ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში პირველ სართულზე, მდებარე 90.19 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.044.01.550) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. "ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში (მიმდებარედ ნაკვეთი N10/022, საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.024.004.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი:

N01.72.14.009.650) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" სსიპ-ქოების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის N№61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

11. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N 5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **დავით ჯაიანმა,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, ხელმოწერის მიღების თანხმობის მიზნით, შესაბამისი განკარგულების პროექტით წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი ფაზა III"-ს ფარგლებში პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს („EBRD") შორის „თბილისის ავტობუსის პროექტი - ფაზა III"-ის ფარგლებში დაგეგმილია **83,000,000 (ოთხმოცდასამი მილიონი)** ევროს ოდენობის სესხის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელიც მიზნად ისახავს თბილისისათვის, მიმდინარე საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმის ფარგლებში, **მაღალი ტევადობის (შესახსრული) ავტობუსების შეძენასა და ავტობუსების ახალი დეპოს მშენებლობას.**

დავით ჯაიანმა იქვე განმარტა, რომ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ თანხას მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო ხელშეკრულების საფუძველზე, ამასთან, მომხსენებლის თქმით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით განისაზღვრება ხსენებული პროექტის განხორციელებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი პირობები.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური, ასევე, განკარგულების პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკურად და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე რიგი განკარგულებათა პროექტები, მათ შორის, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამგორის

რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში, პირველ სართულზე არსებული 64.34 კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა, არადევნილის სტატუსის მქონე პირს - მოქალაქე მარეხი მაკასარაშვილს.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია შსს - ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს წერილი და ზეპირი გასაუბრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მარეხი მაკასარაშვილი ცხოვრობს 2003 წლიდან. ამასთან, წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის ბინაზე შემოწმების აქტი, რომლის თანახმადაც, მარეხი მაკასარაშვილი მის დაინტერესებაში არსებულ ფართში ცხოვრობს შვილთან ერთად 2009 წლიდან. ასევე წარდგენილია, შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომლითაც დასტურდება დაინტერესებული პირის აღნიშნულ მისამართზე 2007 წლიდან ცხოვრების ფაქტი.

დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მარეხი მაკასარაშვილზე და მისი ოჯახის წევრზე (შვილი) საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ირაკლი თავართქილაძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხზე და აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, სამხედრო დასახლებაში, მეორე სართულზე მდებარე 89.93 კვ.მ ფართის ბინა პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა არადევნილის სტატუსის მქონე პირს - მოქალაქე ვალერიანე ჯავახაძეს, რომელიც 2006-2007 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილით, სამგორის რაიონის გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ვალერიანე ჯავახაძის და მისი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხს, **სააგენტოს ხელმძღვანელის** თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ .თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N107-ში არსებული **31.32** კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა არადევნილის სტატუსის მქონე პირს - **მოქალაქე თამარ ტუხაშვილს,** რომელიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1995 წლიდან, რაც დასტურდება, ბმა „სახლი გეოლოგის" ნოტარიულად დამოწმებული ოქმით. რაც შეეხება შსს - ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს წერილსა და თანდართულ გამოკითხვის ოქმებს, აღნიშნული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თამარ ტუხაშვილი ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში ოჯახთან ერთად 20 (ოცი) წელია.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თამარ ტუხაშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-5 საკითხის შესაბამისად, ვაკის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა №18-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემათ არადევნილის სტატუსის მქონე პირებს - ბესიკ წურწუმიას და ზოია კუპატაძეს, რომლებიც 1995-1999 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ვაკის რაიონის გამგეობის ნუცუბიძის მიკრორაიონების საუბნო განყოფილების წერილებითა და შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით. რაც შეეხება შსს-ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის მესამე სამმართველოს წერილსა და ბინაზე გამოცხადების ოქმებს, აღნიშნული დოკუმენტაციით დასტურდება ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების ზემოაღნიშნულ მისამართზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტი.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მეორე პუნქტები გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ირაკლი თავართქილაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N10-ში მდებარე 90.19 კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნანა მეგრელიშვილს, რომელიც 2000 წლიდან დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული აქტებით. რაც შეეხება შსს-ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილს, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ნანა მეგრელიშვილი ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში 15 წელია.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნანა მეგრელიშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 საკითხი და განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ცაიშის ქუჩა N36ა-ში მდებარე **50.66 კვ.მ** და **42.69 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს - **ცირა თავაქალიშვილს და გურამ სურამელს.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, ზემოაღნიშნული პირები ირიცხებიან სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ **2008-2011** წლებიდან, რაც დასტურდება ქონების გადაცემის კრიტერიუმებისთვის დადგენილი ყველა შესაბამისი დოკუმენტაციით.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და

მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ ასევე წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხი და განმარტა, რომ ქალაქ თბილისში, ულიანოვის I შესახვევი N66-ში, პირველ სართულზე მდებარე **45.21 კვ.მ** ფართი პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა არადევნილის სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველ პირს - მოქალაქე **ეკატერინე დეკანოიძეს,** რომელიც **2000** წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილზე თანდართული მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებით, გლდანის რაიონის გამგეობა-ავჭალა, გლდანისხევის საუბნო განყოფილების წერილითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ეკატერინე დეკანოიძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ხორციელდება მონაცვლეობა, კერძოდ, **შპს „ნიაპოლისის“** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე 152 კვ.მ და ქალაქ თბილისში, გაუქმებული „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიმდებარედ

მდებარე 3234 კვ.მ მიწის ნაკვეთი იცვლება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე, 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთში.

საკითხის წარმომდგენის თქმით, **შპს „ნიაპოლისის"** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" ფუნქციური ზონირების შესაბამისად, შპს „ნიაპოლისის" საკუთრებაში არსებულ ორივე საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება **სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).**

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ დაინტერესებულმა პირმა გამოთქვა მზაობა, თუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება აღემატება გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებას, კომპანია გადაიხდის სხვაობის არანაკლები ოდენობით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს, ხოლო, თუ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით კომპანიას არ ექნება არანაირი პრეტენზია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა, საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებებზე, მათ შორის, უფლებამოსილი მუნიციპალური ორგანოების პოზიციებთან დაკავშირებით:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური** შესაბამისი წერილით თანახმაა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, გაუქმებული „გეორგიევსკის ტრაქტატის" მიმდებარედ და ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთების მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება.

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 14 მაისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **შპს „ნიაპოლისის"** საკუთრებაში არსებული 3234 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 13 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **520 674 (ხუთას ოცი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი) ლარის** ოდენობით, ხოლო 2021 წლის 3 ივნისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 152 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 2 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **31 008 (ოცდათერთმეტი ათას რვა) ლარის** ოდენობით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1150 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებამ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 14 ივლისის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2021 წლის 14 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა **541 650 (ხუთას ორმოცდაერთი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი.**

დასასრულს, სააგენტოს ხელმძღვანელმა დაზუსტების სახით აღნიშნა, რომ **შპს „ნიაპოლისის"** საკუთრებაში არსებული ორივე უძრავი ქონების მთლიანი ჯამური საბაზრო ღირებულება **10 032 (ათი ათას ოცდათორმეტი)** ლარით აღემატება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას. თუმცა, განმცხადებელი,

შესაბამისი წერილით უარს აცხადებს აღნიშნულ სხვაობასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-10 საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.13.08.003.066) პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის (პ/ნ 28301121221) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანარ გაჯიხალილოვისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 15 ივნისამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 5 040 (ხუთი ათას ორმოცი) ლარი.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვის საკითხს, მიეცა დადებითი შეფასება.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული პირი სარგებლობის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N141-ში მდებარე უძრავი ქონებას, 2022 წლის 15 ივნისამდე ვადით.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის, საქართველოს ორგანული კანონებში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში შესაბამისი ხასიათის ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. მისივე თქმით, მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები, მათ, შორის, ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შესახებ და მიმართა წინადადებით, საკრებულოს თავმჯდომარეს, კანონმდებლობის შესაბამისად განეხორციელებინა შემუშავებული დადგენილების პროექტის ინიცირება. თავის მხრივ, საკრებულოს თავმჯდომარემ, 2021 წლის პირველ დეკემბერს შესაბამისი დოკუმენტით, ინიცირების წესით, მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გათვალისწინებით, მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და წარმოადგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

✓ განისაზღვრება საკრებულოს შემადგენლობის არჩევის საკითხი, კერძოდ: საკრებულოს 50 წევრისაგან 10 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო 40 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, 10 საარჩევნო ოლქის მიხედვით.

✓ რეგლამენტის მოქმედი რედაქციის პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, შემდეგი სახით:

„1. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია დაითხოვოს საკრებულო ან შეაჩეროს მისი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას."

✓ **განისაზღვრება საკრებულოს წევრის მიმართ** სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისა და ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევების არსებობისას, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის უფლება–მოვალეობათა საკითხი;

✓ **მაჟორიტარული ოლქების გაფართოების გათვალისწინებით,** აღნიშნული მაჟორიტარული ოლქებისთვის თანხის გამოყოფა მოხდება ქ. თბილისის ბიუჯეტიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად, იმ პროპორციით, თუ რამდენი წარმომადგენლობის ტერიტორიული ერთეულიც მოიცვა ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად გაერთიანებულმა სამაჟორიტარო ოლქმა. აღნიშნული ცვლილებით არ ხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯების გამოყოფა;

✓ ვინაიდან, რიგ შემთხვევებში მკვეთრად იზრდება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორია, წარმომადგენლობის მიზნებიდან გამომდინარე, მაჟორიტარების მიერ დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, აუცილებელია დღეს მოქმედი წარმომადგენლობის ტერიტორიული ერთეულების სახით შენარჩუნება;

✓ დადგენილების პროექტით ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება და ამოღებულ იქნება რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი.

მომსენებელის მითითებით, აგრეთვე, საკრებულოს რეგლამენტში იცვლება:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის შექმნისა და ახალშექმნილი ფრაქციის რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი;

ბ) განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების ახლებური წესი;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა ჩამონათვალს ემატება საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა;

დ) განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა;

ე) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა;

ვ) განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნისას მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის, დამტკიცებისა და კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების წესი;

ზ) განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევისას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის თავჯდომარეობის საკითხი;

თ) განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესი;

ი) მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანოებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წარმომადგენლობის საკითხი;

კ) განისაზღვრება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, უფლებამოსილების შეჩერების დროს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების წესი. ამასთანავე, ზემოაღნიშნული ცვლილების შედეგად, ცვლილების ტექნიკური ხასიათის გათვალისწინებით, ამოღებულ იქნა/დაკორექტირდა რამდენიმე მუხლი.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2021 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, წარმოდგენილი პროექტი გავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე და მისი მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯების გამოყოფას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა წინადადებებით მიმართა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს, წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. ამოღებულ იქნას რიგით 23–ე პუნქტად განსაზღვრული ღონისძიება დადგენილების მოქმედი რედაქციის 62–ე მუხლის ცვლილების შესახებ.

2. რიგით 24-ე პუნქტად განსაზღვრულ საკითხში, 62-ე მუხლის შემდეგ დასამატებელ 62[1] მუხლის მე-2 პუნქტში, რაც გულისხმობს, მერის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, შესაბამისი სუბიექტებისათვის, მათ შორის, საკრებულოს თითოეული წევრისათვის სიტყვისათვის გამოყოფილი დროის საკითხს, ნაცვლად 2 (ორი) წუთისა, მიეთითოს შემდეგი სახით - 3 (სამი) წუთი და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მერის ანგარიშის მოსმენის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარეს (სხდომის თავმჯდომარეს) სიტყვისთვის ეძლევა 10 (ათი) წუთი, საკრებულოს თითოეულ წევრს - 3 (სამი) წუთი. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ თითოეულ ფრაქციას დამატებით

შეფასებებისთვის ემლევა - 15 (თხუთმეტი) წუთი), ხოლო საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, – 5 (ხუთი) წუთი.“.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა გაიზიარეს კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოთქმული წინადადება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული წინადადებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს განუმარტა, რომ მსგავსად დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-12 საკითხისა, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში, განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა საკრებულოს რეგლამენტში შესაბამისი ხასიათის ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ მოითხოვს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულება შესაბამისობაში მოვიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ავტორობით შემუშავებული - “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მიენიჭა უკვე არსებულისგან განსხვავებული უფლება-მოვალეობები. კერძოდ, ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუქნტში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს და დასამტკიცებლად ბიუროს წარუდგენს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია რეგლამენტით დადგენილი წესით.

მომხსენებელმა ისაუბრა დადგენილების პროექტით განსაზღვრულ შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებით:

1. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებების თანახმად, კომისიისათვის მოქმედი დადგენილების შესაბამისად, მინიჭებული უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს ასევე ემატება:

1.1. განსაზღვრავს საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუროს;

- ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას;
- იმ შემთხვევაში თუ საკრებულოს ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს საკრებულოს კომისიაში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია 1 კვირის ვადაში განსაზღვრავს და საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

1.2. ამავე მუხლის მე-2 პუნქტს ემატება „დ" - „ვ" ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც კომისია:

- საკრებულოს წევრის მიმართ სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლო განჩინების გამოთხოვის შემდეგ, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას;
- საკრებულოს წევრის მიმართ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისას, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლო დადგენილების გამოთხოვის შემდეგ, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას.
- თუ საკრებულოს წევრის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია გამოითხოვს განაჩენს, ამზადებს დასკვნას და წარუდგენს საკრებულოს უახლოეს სხდომას.

დასასრულს, ლევან ჟორჟლიანმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინიციირების წესით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილების დანართში, რომლითაც განსაზღვრულია, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები. კერძოდ, ცვლილების მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სამდივნოში **III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება 4** ერთეულით, ხოლო ამავე სამდივნოში **III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობას 1 ერთეულით.**

კომისიის თავმჯდომარემ იქვე აღნიშნა, რომ მითითებული ცვლილება არ გამოიწვევს სხვა სახის ცვლილებებს საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებში.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საკრებულოს აპარატის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სამდივნოში წინამდებარე ცვლილებამდე III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე განსაზღვრული იყო 3 (სამი) თანამშრომლის ადგილი, ხოლო III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე 2 (ორი) თანამშრომლის ადგილი.

დასასრულს, **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვითი ნაწილზე. ამასთან, წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	ნინო ჯალაღანია